



## საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საბოლოო დასკვნა

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დევიდ კენედი, კარდიფის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

წევრები:

ეკატერინე ბაკარაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.

ირინე დარჩია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

გიორგი მაყაშვილი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველო.

გიორგი მუშველიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

## ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი დაარსდა როგორც დამოუკიდებელი უნივერსიტეტი 2005 წელს. მანამდე იგი, 1992 წლიდან, ოპერირებდა, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში არსებული ინტიტუტი. უნივერსიტეტს ქალაქ თბილისში აქვს პატარა კამპუსი, რომელშიც არის აუდიტორიები, ლაბორატორიები და საფრენი ტრენაჟორები. უნივერსიტეტს ასევე ეკუთვნის მეფე ერეკლე მეორის სახელობის აეროპორტი თელავში, სადაც განთავსებულია და ფუნქციონირებს არაერთი თვითმფრინავი მფრინავების მომზადებისთვის, ასევე თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სადგომი, სადაც განთავსებულია ბოინგ 737-200 ტექნიკური მომსახურების სწავლებისთვის.

უნივერსიტეტს აქვს 3 ფაკულტეტი: საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტი, საინჟინრო ფაკულტეტი და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. პარალელური პროგრამები ხორციელდება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, რაც უცხოელ სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ მონაწილეობა. უნივერსიტეტს ფართო კავშირი აქვს საავიაციო ინდუსტრიასთან და წამოწყებული აქვს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამები სხვადასხვა ქვეყნის პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან საერთაშორისო საავიაციო ინდუსტრიაში, სამოქალაქო ავიაციის მმართველ ორგანოებში, აეროპორტებში, ავიაკომპანიებსა და სხვა საწარმოებში. ისინი ჩართულები არიან სამგზავრო ფრენებში, საჰაერო ტვირთის გადაზიდვასა და სახმელეთო ოპერაციებში, თვითმფრინავებისა და მათი კომპონენტების დიზაინსა და წარმოებაში. თეორიულ სწავლებას ემატება პრაქტიკული სტაჟირება და დასტურდება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატით, რაც წარმოადგენს შიდა და უცხოურ ავიაკომპანიებში დასაქმების წინაპირობას.

უნივერსიტეტის საერთაშორისო საავიაციო სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს საავიაციო სპეციალისტების პროფესიულ მომზადებასა და პერიოდულ სასერტიფიკატო კურსებს.

უნივერსიტეტმა დააარსა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც თანამშრომლობს საზღვარგარეთის საავიაციო ინდუსტრიასთან და პარტნიორ ინსტიტუტებთან.

ამჟამად, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს დაახლოებით 1300 სტუდენტი ჰყავს, რომელთა უმრავლესობა 10 საბაკალავრო პროგრამიდან ერთ-ერთზეა დარეგისტრირებული. 4 სამაგისტრო პროგრამაზე დაახლოებით 100 სტუდენტი ირიცხება, ხოლო საინჟინრო ფაკულტეტზე დოქტორანტების მცირე რაოდენობა სწავლობს. სწავლებას ახორციელებს 45 აკადემიური პერსონალი (36 მათგანი აფილირებულია) და დაახლოებით 80 მოწვეული თანამშრომელი. უნივერსიტეტს ჰყავს 80 ადმინისტრაციული პერსონალი.

უნივერსიტეტს წინა ავტორიზაცია მიენიჭა 2015 წელს და მას შემდეგ პროგრამების უმეტესობას მიენიჭა აკრედიტაცია.

## დაწესებულებაში განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფი მოწვეულ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ჯგუფს თავმჯდომარეობდა საერთაშორისო აკადემიური ექსპერტი. ჯგუფში ასევე შედიოდა სამი ქართველი აკადემიური ექსპერტი, ერთი შრომითი ბაზრისექსპერტი და ერთი სტუდენტი წევრი. ჯგუფის მუშაობას მხარს უჭერდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უფროსი სპეციალისტი, ადმინისტრატორი და თარჯიმანი.

დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი ჩატარდა სამი დღის განმავლობაში, 2021 წლის 17-19 მაისს. კოვიდ-19-ის შეზღუდვების გამო, შეხვედრების უმეტესობა ტარდებოდა ონლაინ რეჟიმში,

„ზუმის“ პლატფორმის საშუალებით და ეს შეხვედრები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ვიზიტები განხორციელდა აეროპორტის ობიექტებში თელავსა და თბილისში, ასევე მთავარ კამპუსში. ჯგუფის ზოგიერთ წევრს შეეძლო პირადად მიეღო მონაწილეობა ამ ვიზიტებში, ზოგს კი შეეძლო პროცესზე დაკვირვება და კითხვების დასმა „ზუმის“ საშუალებით.

დაწესებულებაში ვიზიტის ბოლოს ჯგუფმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მიაწოდა მოკლე უკუკავშირი. მათი დეტალური დასკვნები მოცემულია ამ ანგარიშში. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა დაამოწმა დასკვნის ფაქტობრივი სიზუსტე და დამატებით მოსაზრებებს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის უნივერსიტეტის რექტორსა და პრორექტორს, თვითშეფასების ჯგუფს, დეკანებსა და აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და დამხმარე სამსახურების ხელმძღვანელებს თვითშეფასების ანგარიშისა (SER) და დამხმარე დოკუმენტების მომზადებისთვის, ასევე ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრებში მონაწილეობისთვის. მადლობა, ასევე, ეკუთვნის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ვიზიტის ეფექტურად ორგანიზებისთვის. ყველა მონაწილე გვიწევდა დახმარებას და მონაწილეობდა კონსტრუქციულად. ისინი გვეხმარებოდნენ ჩვენი შეფასებებისა და ამ ანგარიშის მომზადებაში.

## **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფისთვის თვითშეფასების ანგარიშის საშუალებით მიწოდებული მტკიცებულებები, სხვა წერილობითი დოკუმენტაცია, ინტერვიუები და დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტები ადასტურებს, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი შეესაბამება 1-5 სტანდარტებისა და მათი ყველა ქვე-სტანდარტის მოთხოვნებს. აქ მოცემულია არაერთი რჩევა ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების წახალისების მიზნით. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი მეტწილად შეესაბამება მე-6 სტანდარტს (რომელიც მოიცავს კვლევას), მაგრამ რეკომენდებულია უსდ-მ მიიღოს ზომები კვლევის მოცულობის, ხარისხისა და ხილვადობის გასაზრდელად და ამ კუთხით საერთაშორისო ექსპერტებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გასავითარებლად. მე-7 სტანდარტში აღნიშნულია, რომ მატერიალური რესურსები მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, თუმცა ასევე ხაზგასმულია, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ანგარში (სადგომში) არსებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები მოგვარებას საჭიროებს. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ქებას იმსახურებს თელავის აეროპორტის ობიექტზე პრაქტიკული სწავლების უნიკალური გამოცდილების უზრუნველყოფისთვის.

### **რეკომენდაციების შეჯამება**

- (სტანდარტი 6.1) საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა უნდა გამოაქვეყნოს სტატიები წამყვან საერთაშორისო ჟურნალებში.
- (სტანდარტი 6.2) საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა აკადემიურ პერსონალს ხელი უნდა შეუწყოს წამყვანი საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტების ექსპერტებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის დამყარებაში.
- (სტანდარტი 7.1) საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უნდა განათავსოს უსაფრთხოების ყველა ინსტრუქცია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

- (სტანდარტი 7.1) საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უნდა განათავსოს გამაფრთხილებელი ნიშნები დენის ძაბვის შესახებ სტენდებზე, სადაც ელექტრონული ხელსაწყოები და მოწყობილობებია განთავსებული.
- (სტანდარტი 7.1) საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ანგარის (სადგომის) გასახდელი ოთახის შესაბამისი ავეჯით (კარადებითა და სკამებით) მოწყობა.
- (სტანდარტი 7.1) საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ინსტრუმენტებისა და ინვენტარის მიწოდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ანგარის (სადგომის) პრაქტიკული სამუშაოებისთვის.

## რჩევების შეჯამება

- (სტანდარტი 1.1) ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა თითოეულ ფაკულტეტზე წინ წამოწიოს თავისი მისია, რათა სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები მას კარგად გაეცნონ.
- (სტანდარტი 1.2) ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის უზრუნველყოს ტრენინგი ხელმძღვანელობასა და მართვაში.
- (სტანდარტი 1.2) ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა ჩართოს საერთაშორისო პარტნიორები სტრატეგიული განვითარების გეგმისა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმების ფორმირებასა და მონიტორინგში.
- (სტანდარტი 2.1) ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა მოითხოვოს ინგლისური ენის ფლობის კომპეტენცია მენეჯმენტის ყველა პოზიციისთვის (რექტორის მოადგილეების, დეკანების და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ჩათვლით), რადგან უნივერსიტეტი ისწრაფვის ინტერნაციონალიზაციისკენ.
- (სტანდარტი 2.1) ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა გაამდიეროს ინტერნაციონალიზაციის პროცესები და თავის საზოგადოებას შესთავაზოს უფრო მეტი პროგრამა.
- (სტანდარტი 3.1) რჩევა იქნება, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა მუდმივად გაზარდოს პროგრამის შეფასებაში კურსდამთავრებულთა ჩართულობა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთაც კურსდამთავრებულთა დასაქმების შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ.
- (სტანდარტი 3.2) ექსპერტთა რჩევაა, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა განაახლოს პროგრამების კატალოგი და პროგრამების აღწერილობაში მოცემული ინფორმაცია სასწავლო წლის ხანგრძლივობის შესახებ, საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.
- (სტანდარტი 3.2) ექსპერტთა რჩევაა, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა შეასწოროს საბაკალავრო პროგრამა „საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება“ ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2016 წელს და მისი აკრედიტაციის ვადა ჯერ არ ამოწურულა.
- (სტანდარტი 4.1) ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა გაზარდოს თავისი აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობა ინსტიტუციური პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული შინაგანაწესის შესახებ.
- (სტანდარტი 4.2) ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა მოახდინოს კვლევითი ნაშრომებისა და საქმიანობის ტიპების (ეროვნული და საერთაშორისო

რეცენზირებული ჟურნალები, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები და ა.შ.) დიფერენცირება და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში მათთვის განსაზღვროს დროის სხვადასხვა მოცულობა.

- (სტანდარტი 4.2) ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა გაზარდოს აფილირებული პერსონალის ინფორმირებულობა აფილირების პირობებსა და ვადებზე, საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში მათი უფრო ეფექტური ჩართვისთვის.
- (სტანდარტი 6.3) ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა შეადაროს თავისი კვლევის შედეგები სხვა ეროვნულ და საერთაშორისო დაწესებულებებთან.
- (სტანდარტი 7.3) ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისობა თავისი ვებგვერდის ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის.


### **საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება**

- (სტანდარტული 7.1) საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ქებას იმსახურებს თელავის აეროპორტის სასწავლო ობიექტებზე სტუდენტებისათვის პრაქტიკული გამოცდილების უზრუნველყოფისათვის.


**შემაჯამებელი ცხრილი**


	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისაა მოთხოვნებს
1.	<b>უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ის მისია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<b>უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3	<b>საგანმანათლებლო პროგრამები</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4	<b>უსდ-ის პერსონალი</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5	<b>სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6	<b>კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა</b>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7	<b>მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	ინფორმაციული რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>


ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1.  დევიდ კენედი (თავმჯდომარე)

2.  ეკატერინე ბაკრაძე (წევრი)

3.  ირინე დარჩია (წევრი)

4.  გიორგი მაყაშვილი (წევრი)

5.  გიორგი მეშველიანი (წევრი)

6.  ია ნაცვლიძე (წევრი)

ავტორიზაციის აპლიკანტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

**1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

**1.1 უსდ-ის მისია**

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტის მისიაა საზოგადოებას მიაწოდოს საავიაციო სფეროში დაგოვებული მრავალწლიანი გამოცდილება, რომელიც დაფუძნებულია ავიაციის, საავიაციო ინჟინერიისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტების უმაღლესი განათლებისა და ტრენინგების საერთაშორისო სტანდარტებზე; მოამზადოს კვალიფიციური კურსდამთავრებულები და ხელი შეუწყოს მათ პიროვნულ თვისებებს, რათა ისინი გახდნენ პროფესიონალები; მოახდინოს ავიაციის ადგილობრივ და გლობალურ გამოწვევებზე რეაგირება კვლევისა და აღმოჩენის კულტურის განვითარებით და ახალი ცოდნის შექმნით.

უნივერსიტეტის მისიამ მცირე ცვლილებები განიცადა 2018 წელს, უნივერსიტეტის დებულების განახლების დროს. წინა მისიის ანალიზის საფუძველზე, შეიქმნა ახალი ვერსია ახალი გამოწვევების გადასაჭრელად. ეს პროცესი მოიცავდა კონსულტაციას უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან და განხორციელდა მთელი რიგი შეხვედრებისა და გამოკითხვების მეშვეობით.

უნივერსიტეტის საქმიანობას მუდმივად აკონტროლებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობისა და საავიაციო სფეროს სპეციფიკის გამო.

შესაბამისად, უნივერსიტეტის მისიაში ნათლად იქნა განსაზღვრული უსდ-ის ადგილი და როლი ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. მისია ასახავს უნივერსიტეტის გრძელვადიან გამოცდილებას, საერთაშორისო მოთხოვნებთან და სტანდარტებთან მის შესაბამისობას და საგანმანათლებლო პროცესებში მათი ჩართვისთვის მზადყოფნას.

მისია თვალსაჩინოდ არის განთავსებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებში მის გავრცელებას. აკადემიური პერსონალი იცნობს მისიას და იყენებს მას სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისას და სხვა დონის დიებებში. სტუდენტებმა აჩვენეს თავიანთი ინფორმირებულობა მისიის შესახებ. ზოგიერთმა გაიხსენა, რომ წაიკითხა მისია ვებ-გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის წესდება;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- მისიასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოკითხვების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები რექტორთან, მმართველ საბჭოსთან, აკადემიურ პერსონალთან და



სტუდენტებთან.
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა თითოეულ ფაკულტეტზე წინ წამოწიოს თავისი მისია, რათა სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები მას კარგად გაეცნონ.</li> </ul>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<b>1.2 სტრატეგიული განვითარება</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო (3-წლიანი) გეგმები.</li> <li>○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას.</li> <li>○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>2019 წელს უნივერსიტეტმა შეიმუშავა ახალი 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა. გეგმის მომზადებისა და შეთანხმებისთვის მიღებულ იქნა ახალი მეთოდოლოგია, რომელიც გაწერილია მარეგულირებელ დოკუმენტში და უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა და პარტნიორი დაწესებულებების მონაწილეობას. ჩატარდა შეხვედრები და გამოკითხვები ყველა დაინტერესებულ მხარესთან და განხორციელდა SWOT ანალიზი. გეგმის განსახორციელებლად, მოხდა შეთანხმება შესაბამის ვადებზე, ფინანსურ რესურსებსა და მენეჯერულ პასუხისმგებლობებზე.</p> <p>უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ჩამოყალიბდა შემდეგი 5 ძირითადი პრიორიტეტის გარშემო.</p> <p><b>1. ინსტიტუციური გაძლიერება</b></p> <p>უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს მნიშვნელოვანი რესურსები კვალიფიციური პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნებისა და მომზადებისთვის. კერძოდ, რეგულარულად ტარდება სასწავლო კურსები მფრინავი ინსტრუქტორებისა და ტექნიკური პერსონალისათვის, ინდუსტრიის მოთხოვნებისა და თვითმფრინავების ფლოტის განახლებების შესაბამისად. საერთაშორისო საავიაციო სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორები და პედაგოგები წინასწარ მონაწილეობენ ტრენინგ კურსებში როგორც ცენტრში, ისე მის საზღვრებს გარეთ. უსდ ახორციელებს ეფექტურ მართვას და შექმნილია სხვადასხვა საკომუნიკაციო ქსელი. რეგულარულად ხორციელდება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს საკუთარი იმიჯის განვითარებას ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობით და ვებ-გვერდზე ფოტო-ვიდეო მასალების განთავსებით.</p> <p><b>2. საერთაშორისო პროფილის გაძლიერება</b></p> <p>როგორც სპეციალურ საავიაციო დაწესებულებას, უნივერსიტეტს არ ჰყავს კონკურენტი ქვეყნის</p>

მასშტაბით, მაგრამ ის ისწრაფვის გახდეს წამყვანი აქტორი შავი ზღვის რეგიონში. თავისი არსით, სამოქალაქო ავიაცია საერთაშორისო საქმიანობაა და ეს აისახება საგანმანათლებლო პროგრამებში. 2019-2026 წლების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვას გაცვლით პროგრამებში, სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას და ონლაინ კურსების შეთავაზებას. ასევე დაგეგმილია სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიღება და უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია. უნივერსიტეტმა განახორციელა ორი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებმაც მოიზიდა სტუდენტები 30 სხვადასხვა ქვეყნიდან. არსებობს საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის რამდენიმე მტკიცებულება, მაგალითად, ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება და დოქტორანტების მონაწილეობა ერასმუს+ გაცვლით პროგრამებში.

### 3. ხარისხის განვითარება

უნივერსიტეტს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ერთგულად ახორციელებს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, ატარებს გამოკითხვებსა და შეხვედრებს კურსების შინაარსის, სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაფასებლად. ელექტრონული სასწავლო მასალები გამოიყენება სწავლების, შეფასებისა და ხარისხის მაღალ დონეზე შესაფასებლად. საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება, ხარისხის გაზრდა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვა უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. უნივერსიტეტი ცდილობს გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობის ხარისხი და მისცეს პერსონალს სტიმული, გამოაქვეყნოს სტატიები და მოიპვოს შიდა და გარე დაფინანსება.

### 4. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობა და მათი ინტერესების წარმოჩენა. დამსაქმებლებს რეგულარულად ეგზავნებათ კითხვარები პროგრამების შემუშავების საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, შეხვედრები იმართება სტუდენტებთან და დამსაქმებელი კომპანიების წარმომადგენლებთან, რათა განიხილონ რეკომენდაციები ახლად აკრედიტირებული პროგრამების შესახებ. ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დაინტერესებული მხარეების ინტერესების შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურების შესაქმნელად. უნივერსიტეტის დასაქმებისა და კარიერული განვითარების მენეჯერი სტუდენტებს დააკავშირებს პოტენციურ დამსაქმებლებთან და გაზრდის პარტნიორი კომპანიების მონაწილეობას უნივერსიტეტის საქმიანობაში.

### 5. სასწავლო-საფრენოსნო ინფრასტრუქტურის განვითარება

სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, უნივერსიტეტმა ახლახანს შეიძინა Tecnam P2006 T ტიპის ორმაგძრავიანი თვითმფრინავი და ვერტმფრენის სიმულატორი. შეიქმნა ახალი სასწავლო ლაბორატორიები და მოეწყო ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმო უნივერსიტეტის ბოინგ 737-200 თვითმფრინავის გამოყენებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. სწავლების ტექნიკა და ინფრასტრუქტურა მუდმივად გადის კონტროლს და ტარდება სავალდებულო მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შემოწმების შესაბამისად. თელავის აეროპორტის რეგიონული აეროდრომის სერტიფიკატი ასევე ექვემდებარება მუდმივ განახლებას და მომსახურებას.

სტრატეგიული განვითარების გეგმის გარდა, ახლახან შემუშავდა 2021-2023 წლების ყოვლისმომცველი 3-წლიანი სამოქმედო გეგმა. თითოეული სტრატეგიული პრიორიტეტისთვის, გეგმაში გასაზღვრულია მიზნები, ამოცანები და კონკრეტული მოქმედებები ვადებთან და პასუხისმგებლობებთან ერთად. ამჟამად ბიუჯეტი გამოყოფილია მხოლოდ გეგმის პირველი წლისთვის. ჩატარდება ყოველწლიური შეფასების შეხვედრები სამოქმედო გეგმის შესაბამისად პროგრესის მონიტორინგისთვის. მოსალოდნელი მიზნების შეუსრულებლობის შემთხვევაში,

<p>გამოვლენილი იქნება ძირითადი მიზეზი და სამოქმედო გეგმაში შევა შესაბამისი ცვლილებები.</p> <p>უნივერსიტეტი ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას და იზიარებს მის ცოდნას. სტუდენტთა საქმიანობა მოიცავს ექსპედიციებს, უსახლკარო ბავშვთა და მოხუცთა დახმარებას, საჯარო ლექციებს, საჯარო და კერძო დაწესებულებებში ვიზიტებს, დასუფთავებისა და გამწვანების ღონისძიებებს, გასართობ, სპორტულ, ინტელექტუალურ და შემოქმედებით ღონისძიებებს. პანდემიის ადრეულ ეტაპებზე, 2020 წელს, უნივერსიტეტმა მოაწყო ონლაინ კონფერენცია, რომელმაც ხელი შეუწყო სტრატეგიის შემუშავებას საქართველოს საავიაციო ბაზარზე.</p> <p>უნივერსიტეტის საერთაშორისო საავიაციო სასწავლო ცენტრი სერტიფიცირებულია სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ და უზრუნველყოფს ტრენინგებს და სერტიფიცირებას ადგილობრივი და უცხოური საავიაციო სპეციალისტებისთვის. ცენტრი ყოველ 6 თვეში გადის აუდიტს, ხოლო 2 წელიწადში ერთხელ - სერტიფიცირებას, რაც მოიცავს ყველა სასწავლო გეგმის შეთანხმებას და ჩანაწერებისა და პერსონალის საქმეების განხილვას.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმა;</li> <li>• 3-წლიანი სამოქმედო გეგმა;</li> <li>• სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;</li> <li>• სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;</li> <li>• აკადემიური პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები - საავიაციო უნივერსიტეტი (ssu.edu.ge);</li> <li>• განხორციელებული საქმიანობა;</li> <li>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;</li> <li>• უნივერსიტეტის ფეისბუქის გვერდი;</li> <li>• თვითმმართველობის ფეისბუქის გვერდი;</li> <li>• თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები რექტორთან და ხელმძღვანელებთან, საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, დასაქმებისა და კარიერული განვითარების მენეჯერებთან.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა შესაბამისი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის უზრუნველყოს ტრენინგი ხელმძღვანელობასა და მართვაში.</li> <li>• ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა ჩართოს საერთაშორისო პარტნიორები სტრატეგიული განვითარების გეგმისა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმების ფორმირებასა და მონიტორინგში.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

## 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის

მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

<p><b>2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.</li> <li>○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.</li> <li>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას.</li> <li>○ უსდ-ის მისიისა და მიზნების შესაბამისად, უსდ-ის ხელმძღვანელობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.</li> </ul>
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა შეიცვალა თავისი სტრუქტურა გარე შეფასების სხვადასხვა ეტაპის გამო (ავტორიზაცია გაიარა 2019 წელს, მოგვიანებით ჩატარდა მონიტორინგის პროცესები). შესაბამისად, აღნიშნულმა გამოცდილებამ გავლენა მოახდინა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტრუქტურის განვითარებაზე, რაც შესაბამისობაშია საქართველოს კანონებთანსამოქალაქო ავიაციის და უმაღლესი განათლების შესახებ და უზრუნველყოფს მის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და საქმიანობის განხორციელებას.

უნივერსიტეტი შედგება მმართველი ორგანოების, ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფების, ძირითადი ადმინისტრაციული და დამატებითი სტრუქტურული ერთეულებისგან. დებულების მე-4 მუხლი უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებს განსაზღვრავს შემდეგნაირად:

ა) მმართველი საბჭო (კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს სწავლებასა და კვლევას, ადამიანური და მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელებას);

ბ) რექტორი (გენერალური დირექტორი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პასუხისმგებელი მენეჯერი, აგრეთვე უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, რომელიც მართავს უნივერსიტეტს და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში), და

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ახორციელებს სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის უწყვეტ შეფასებას უნივერსიტეტში, აგრეთვე ზრუნავს უსდ-ის პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე).

უნივერსიტეტის წესდებებში მოცემულია ინფორმაცია ხელმძღვანელი/მმართველი ორგანოების, სტრუქტურული განყოფილებების, მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, უნივერსიტეტის ეფექტური მართვის პროცესის უზრუნველყოფად.

ფაკულტეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის უპირველეს საგანმანათლებლო ერთეულს. მმართველი ორგანოები და ზოგადად, ფაკულტეტის მმართველი ერთეულები არიან ფაკულტეტის საბჭო და დეკანი. უნივერსიტეტს აქვს 3 ფაკულტეტი: საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტი, საინჟინრო ფაკულტეტი და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. უნივერსიტეტი ახორციელებს 10 საბაკალავრო, 4 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამას.

უნივერსიტეტის მთავარი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულები/სუბიექტებია: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; ფინანსური სამსახური; სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; ადმინისტრაცია და იურიდიული სამსახური.

უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ქვედანაყოფებია: სამეურნეო სამსახური; შრომის უსაფრთხოების სამსახური; ბიბლიოთეკა; საერთაშორისო საავიაციო ტრენინგ ცენტრი; აეროპორტი "მიმინო"; საფრენოსნო-მეთოდური ცენტრი; ტექნიკური მომსახურების საწარმო; ტექნიკური

მომსახურების სასწავლო საწარმო. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განმარტა და მოგვარა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესები არსებული მარეგულირებელი დოკუმენტების ახალ სტანდარტებთან ჰარმონიზაციისთვის, როგორ ხდებოდა ახალი რეგულაციებისა და დოკუმენტების შექმნისა და დანერგვის პროცესი. განახლდა შემდეგი დოკუმენტები: უნივერსიტეტის წესდება, უნივერსიტეტის მისია, განვითარების 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა, 3-წლიანი სამოქმედო გეგმა. შეიქმნა ახალი დოკუმენტები, როგორცაა: პერსონალის მართვის პოლიტიკა, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, კვლევის დაფინანსების წესები და ა.შ. ასევე შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები და ობიექტები, როგორცაა: დასაქმებისა და კარიერული განვითარების მენეჯერი, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, საქმისწარმოების მენეჯერი, პროფესიული პროგრამების ხარისხის მენეჯერი, ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმო, რაც, ხელმძღვანელობის აზრით, მიზნად ისახავდა ბიზნეს პროცესების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესებას. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებს შორის გადაფარვები არ არის. თუმცა, ექსპერტთა რჩევას, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა მოითხოვოს ინგლისური ენის ფლობის კომპეტენცია მენეჯმენტის ყველა პოზიციისთვის (რექტორის ყველა მოადგილის, დეკანების და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ჩათვლით, რადგან უნივერსიტეტი ისწრაფვის ინტერნაციონალიზაციისკენ).

მმართველი საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის წესდებით და თავმჯდომარეობს რექტორი. საბჭოს შემადგენლობაში შედიან შემდეგი პირები: რექტორი, რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, ფაკულტეტის დეკანები, ადმინისტრაციის უფროსი, ფინანსური სამსახურის უფროსი, ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარდგენილი 3 წევრი.

საბჭო უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიის, მიზნებისა და ამოცანების შემუშავებასა და განხორციელებას; შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის წესდებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სამოქმედო გეგმას, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას; ამტკიცებს სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებს; ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს; ზრუნავს უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებაზე; ამტკიცებს აკადემიურ კალენდარს ყოველ სასწავლო წელს; ფაკულტეტის ნომინაციის საფუძველზე, განსაზღვრავს ერთიანი ეროვნული გამოცდების კოეფიციენტებს, მეოთხე არჩევით საგანს, აგრეთვე ფაკულტეტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობას სწავლების თითოეული ციკლის/დონისა და სპეციალობისთვის; განიხილავს ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციების და სხვა ღონისძიებების ჩატარებას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას; განსაზღვრავს სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის უზრუნველსაყოფისთვის საჭირო წესებსა და პირობებს; ხელმძღვანელობს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ანგარიშების მოსმენებს. საბჭოს მდივანი ინახავს სხდომის ოქმს. შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლამ და საბჭოს წევრებთან გასაუბრებამ დაადასტურა ზემოთ აღნიშნული.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ რექტორი ახდენს ფუნქციების, კომპეტენციებისა და უფლებამოსილებების დელეგირებას რექტორის მოადგილეებს შორის. კერძოდ, რექტორის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში პასუხისმგებელია საფრენოსნო და საინჟინრო პერსონალის მუშაობის ზედამხედველობაზე და ფრენების უსაფრთხო შესრულებაზე. რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვაზე. რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში პასუხისმგებელია კვლევის ეფექტურ და ხარისხიან წარმართვასა და კონტროლზე.

რექტორის მოადგილეების ფუნქციები განისაზღვრება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დებულებით და თანამდებობის შესაბამისი სამუშაო აღწერილობით.

ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს ნიშნავს რექტორი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ახორციელებს ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და კონტროლს. თვითშეფასების ანგარიშის მონაცემებით, 2016 წლამდე ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებდა უნივერსიტეტის 2 სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ევალებოდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიერ დადგენილი სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვა, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პასუხისმგებელი იყო საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს და EASA-ს (ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო) სტანდარტებისა და მოთხოვნების დანერგვაზე. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების უკეთ განხორციელებისა და მართვის მიზნით, აღნიშნული ორი მიმართულება გაერთიანდა. ამჟამად, შესრულების ეფექტურობის შეფასება ხორციელდება დაწესებულების შიგნით (ხარისხის აუდიტი, შეფასებით, გამოკითხვით) და გარეთ (ავტორიზაციის, აკრედიტაციის მეშვეობით).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფარგლებში არსებობს ხარისხისა და უსაფრთხოების საბჭო, რომლის მიზანია ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ. საბჭოში შედის: რექტორი/პასუხისმგებელი მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, უსაფრთხოების მენეჯერი, საავიაციო უსაფრთხოების მენეჯერი, პრორექტორი საფრენოსნო მომზადების დარგში, ფრენის მეთოდოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი, აეროპორტის დირექტორი, საერთაშორისო მომსახურების დირექტორი და ცენტრის უფროსი. საბჭოს სხდომა წარმოადგენს ხარისხის სისტემის, ინციდენტებისა და აუდიტის ანგარიშების სისტემურ და დოკუმენტურ მიმოხილვას.

საერთოდ, უნივერსიტეტის სტრუქტურაში მოცემულია ინფორმაცია თანამდებობის პირთა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობის, დაქვემდებარების, კოორდინაციის, ანგარიშგებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა. მისი ფუნქციაა სტუდენტთა მოსაზრებების მოსმენა და მათი ინტერესების დაცვა. ეს ერთეული სტრუქტურაში არ არის შეტანილი, მაგრამ მონაწილეობს უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის მიცემის უფლებით. თვითმმართველობა აწყოებს არჩევნებს მმართველი საბჭოს წევრებისთვის და ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის 3 წევრს 3 ფაკულტეტის შესაბამისად. ფაკულტეტის საბჭოში ასევე წარმოდგენილია სტუდენტები, რომლებიც არჩეული და დასახელებულია სტუდენტური თვითმმართველობის მიერ.

ზოგადად, უნივერსიტეტის მენეჯმენტის როლები, ფუნქციები და პროცედურები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ჩამოყალიბებული. არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა სრულად მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის სფეროებს, იძლევა მისი განვითარების შესაძლებლობებს და ხელს უწყობს სტრატეგიის განხორციელებას, სასწავლო კვლევებისა და ადმინისტრაციული პროცესების მართვას. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს აქვს მმართველ ორგანოებში, აკადემიურ/სამეცნიერო თანამდებობებზე წევრების დანიშვნის წესები და პროცედურები, რომლებიც ხორციელდება ღია და საჯარო კონკურსის წესით, გამჭვირვალობის, კონკურენციისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით, შესაბამისი შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირებას სხვადასხვა საშუალებით, ხოლო ვებ-გვერდები და სოციალური მედიის არხები გამოიყენება ეფექტური კომუნიკაციისთვის. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ინტერვიუებმა დაადასტურა ზემოხსენებული.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა შეიმუშავა ბიზნეს პროცესების უწყვეტობის პოლიტიკა. ამ პოლიტიკის თანახმად, ბიზნესის მართვა არის პროცესი, რომელიც მოიცავს: უნივერსიტეტის საქმიანობისთვის საფრთხის მომტანი გარემოებების გამოვლენა, უნივერსიტეტის საქმიანობაზე და სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე ამ გარემოებების გავლენის შეფასება; მათი დადგომის

შემთხვევაში, ნეგატიური ზემოქმედების შემცირების/შერბილების ზომების განსაზღვრა და ბიზნეს პროცესების უწყვეტი განხორციელების სქემა; ნორმალური მუშაობის რეჟიმის აღდგენის სქემა. დოკუმენტი აყალიბებს საავიაციო უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების უწყვეტობის სქემას და აღწერს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ინსტრუქციების შემუშავების, განახლებისა და პრაქტიკული სწავლების პროცედურებს. დოკუმენტის თანახმად, ყველა პოტენციური საფრთხე და საჭიროება იდენტიფიცირებულია, შეფასებულია და მათზე რეაგირება კომპლექსურად ხდება.

ამჟამად უსდ-ში არ სწავლობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, მაგრამ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა გამოხატავს მზადყოფნას შექმნას შესაბამისი სასწავლო პირობები ამ სტუდენტებისათვის.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა შექმნა მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული 2019-2026 წლების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორებთან/სტუდენტებთან თანამშრომლობის სისტემურ მიდგომას, ასევე ითვალისწინებს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ჩართვას გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო მობილობაში, სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დაკვიდრებას და ონლაინ სასწავლო კურსების შეთავაზებას. მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, დადგინდა, რომ ამჟამად 50-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი სწავლობს 2 ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე და სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სტუდენტებს შესთავაზოს სხვა ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა - საჰაერო ხომალდების ტექნიკური ოპერაციები და საბაკალავრო პროგრამა - საჰაერო ტრანსპორტის მართვა.

უნივერსიტეტში ხორციელდება ერასმუს+ გაცვლითი პროგრამა, რომლითაც სარგებლობენ სტუდენტები და პერსონალი. 5 აკადემიური თანამშრომელი და 25 სტუდენტი მონაწილეობდა საერთაშორისო მობილობაში.

კვლევის ინტერნაციონალიზაციის მხრივ, უნივერსიტეტი ატარებს ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობით და გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს "საჰაერო ტრანსპორტი", რომელშიც ქვეყნდება ადგილობრივი და უცხოელი მკვლევარების სტატიები. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმიანობაში ჩართული პირებისთვის ქმნის ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის საშუალებას. მათ შორისაა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები დოქტორანტებისთვის (ვიზიტები უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებში), აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და „უორლდ ლინკის“ (Worldlink) მიერ ორგანიზებული 3-კვირიანი ვიზიტები შეერთებულ შტატებში განათლების საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად, კვლევითი გრანტი საქართველოსა და ლატვიის მთავრობებს შორის განათლებისა და მეცნიერების სფეროში დადებული შეთანხმების საფუძველზე. ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ თანამშრომლები იყენებენ უნივერსიტეტის მიერ შექმნილ ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს. ქსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პროცესები და თავის საზოგადოებას შესთავაზოს უფრო მეტი პროგრამა.

უნივერსიტეტი აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრს კანონის შესაბამისად. რეესტრზე პასუხისმგებლები არიან საგანმანათლებლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი (EMIS) და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი (QMS).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;
- სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი;

<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმის წარმოების წესი;</li> <li>• ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;</li> <li>• გაცვლითი პროგრამების მონაწილეთა სტატისტიკური მონაცემები;</li> <li>• თანამშრომლობის მემორანდუმები;</li> <li>• კვლევების შედეგები.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა მოითხოვოს ინგლისური ენის ფლობისკომპეტენცია მენეჯმენტის ყველა პოზიციისთვის (რექტორის მოადგილეების, დეკანების და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ჩათვლით), რადგან უნივერსიტეტი ისწრავის ინტერნაციონალიზაციისკენ.</li> <li>• ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პროცესები და თავის საზოგადოებას შესთავაზოს უფრო მეტი პროგრამა.</li> </ul>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<h2>2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები</h2> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. დაწესებულების ხელმძღვანელობა უწყვეტად მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.</li> <li>○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს აძლევს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ მუშაობასა და სისტემის განვითარებაზე. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ექვემდებარება ხარისხის სისტემის შეფასებას საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების (ICAO, EASA) სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. შესაბამისად, 2013 წლიდან უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის პოზიცია ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან დამოუკიდებლად და პასუხისმგებელია ხარისხის სისტემის კონტროლსა და აუდიტზე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მოთხოვნების მიხედვით. ხარისხის მენეჯერმა, ფრენის ინჟინერიის პერსონალმა და უნივერსიტეტის მენეჯმენტის მაღალი რგოლის წარმომადგენლებმა გაიარეს სპეციფიკური ტრენინგები (ISO 9001:2008 ხარისხის მართვის სასწავლო კურსი და ISO 9001:2015) უნივერსიტეტში ამ სისტემის შექმნისა და დანერგვის მიზნით. 2016 წელს სტრუქტურაში შევიდა ცვლილება, რომ გაუქმებულიყო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ერთეული და შექმნილიყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია როგორც განათლების სისტემის, ასევე საავიაციო სექტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის, საფრენოსნო ინჟინერიის პერსონალის მუშაობის შეფასების მონიტორინგს, ადგენს შეფასების</p>



ინდიკატორებს, კრიტერიუმებს, ინსტრუმენტებს, შეთავაზებებსა და რეკომენდაციებს, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტში პროცესების დაგეგმვას, შეფასების მონიტორინგსა და ანალიზს, სწავლებისა და სწავლის პროცესის მონიტორინგსა და ანალიზს, მუდმივ განვითარებას, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების კოორდინაციას და სხვა.

ISO სტანდარტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საქმიანობას შემდეგ სფეროებში: შიდა აუდიტის ჩატარება, გარე აუდიტის ორგანიზება და კოორდინაცია (სააგენტოს მიერ სერტიფიცირების, განმეორებითი სერტიფიცირების პროცესი, მიმდინარე აუდიტები), შეუსაბამობების დადგენა და მათი რაწირება, სისტემის გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავება, მაკორექტირებელი და პროფილაქტიკური გეგმების შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი. მართვის პროცესების კოორდინაციისთვის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში არიან ხარისხზე პასუხისმგებელი პირები. ინტერვიუების დროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი მონაწილეობს საერთაშორისო პროგრამებში, რაც ხელს უწყობს ხარისხის სისტემის საერთაშორისო გამოცდილების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და უნივერსიტეტში საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა დაადასტურა, რომ ადმინისტრაციამ დანერგა ელექტრონული სერვისები უნივერსიტეტში ინფორმაციის დაგეგმვის, ანალიზისა და შეფასების მიზნით, აგრეთვე გარე დაინტერესებული მხარეების, მაგალითად, კურსდამთავრებულების ან დამსაქმებელთა ჩართვის თვალსაზრისით.

უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული მომსახურების მონიტორინგი ტარდება მუდმივად, ძირითადად სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის საშუალებით. გამოკითხვის ფორმები მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას, როგორცაა - საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლის შედეგები, კმაყოფილების კვლევა, მართვის პროცესები, ინფრასტრუქტურა და განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა.შ. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, ადმინისტრაცია განსაზღვრავს პრობლემის მიზეზს და შემდეგ შესაბამისად რეაგირებს.

უნივერსიტეტს აქვს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების პროცედურა. შეფასებები ტარდება მინიმუმ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. გამოვლინდა ადმინისტრაციული პერსონალის მომზადების საჭიროება, მოგვიანებით დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი ზომები.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ახალი პერსონალის მართვის პოლიტიკის წესი, რათა სრული სურათი შექმნილიყო პერსონალის მუშაობის შეფასების თვალსაზრისით. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ყოველწლიურად ფასდება მათი აკადემიური დატვირთვის შესაბამისად. არსებობს ატესტაციის წესი (რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მუშაობის 5 წლის შეფასებას), დებულება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგისთვის და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კვლევების შედეგების ანალიზი იძლევა არსებული სურათის სისტემატური შემოწმების საშუალებას.

სტუდენტის აკადემიური მოსწრება ფასდება სემესტრულად. ფაკულტეტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებენ მონიტორინგის პროცესს და ადგენენ კონკრეტულ ზომებს შედეგების საფუძველზე. ინტერვიუების დროს თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ეს ფაქტორები გავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაზე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში მითითებული პროცედურების საფუძველზე. ტარდება შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია შეისწავლოს და უზრუნველყოს პროგრამის განვითარება.

2020 წელს დამტკიცდა სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეცვლილი ვარიანტი და მისაღები ადგილების წლიური რაოდენობა, რომლის თანახმად, სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად არსებითი კრიტერიუმებია ადამიანური და მატერიალური რესურსები. ცვლილებების შეტანის დროს, განსაკუთრებულად გაესვა ხაზი პილოტი ინსტრუქტორებისა და საჰაერო ხომალდების რაოდენობის თანაფარდობას პილოტი სტუდენტების რაოდენობასთან. ეს ასევე

დადასტურდა დეკანებთან და სხვა პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებთან ინტერვიუებით. ინტერვიუების დროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავდა სამი კონკრეტული კომპონენტის განმტკიცებას: სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობისა და ჩართულობის გაზრდას; ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული დეპარტამენტების ჩართულობის გაზრდას; და ხარისხის უზრუნველყოფის უკეთ დაკავშირებას სტრატეგიის განხორციელებასა და მონიტორინგთან. ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სისტემა ემყარება სამ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს ძირითად პროცესებს. არსებობს კურსების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო, სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო. ისინი დაფუძნებულია თვითშეფასების პრინციპზე. ამრიგად, გამოყენებულია ქვემოდან-ზემოთ მიდგომა, რომელსაც თან ახლავს ხარისხის განვითარების დეპარტამენტის, როგორც საკოორდინაციო ორგანოს, უწყვეტი გამოხმაურება. თვითშეფასების სამივე პროცესში ეფექტურობა ასევე უზრუნველყოფილია PDCA მიდგომის გამოყენებით - წინა თვითშეფასების შემდეგ გაუმჯობესებაზე თვალყურის მიდევნებით და თავად ხარისხის მექანიზმების შეფასებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტუდენტთა კონტინენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურა;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის უზრუნველყოფა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა**

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წავლისა და კვლევის პროცესი, აგრეთვე ადმინისტრაციული საქმიანობა ემყარება ღირებულებებსა და ვალდებულებებს. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ცდილობს შექმნას და განავითაროს მაღალი ზნეობრივი წესები და ეთიკის ნორმები თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის. უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობა რეგულირდება წესდებით, შინაგანაწესით, პერსონალის მართვის პოლიტიკით, რომელიც ახლახანს განახლდა, ეთიკისკოდექსით და დოკუმენტით - „პლაგიატისგამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმები“. ამ რეგულაციებში მოცემულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების ქცევის წესები. რეგულაციები

შესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. კოდექსი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პლაგიატზე და იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ისჯება პლაგიატის შემთხვევები. ისინი ხელს უწყობს უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტურ მართვას და სასწავლო პროცესს.

ეთიკის კოდექსი და დოკუმენტი - „პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმები“ ითვალისწინებს პლაგიატის გამოვლენის, რეაგირების პროცედურებს და შესაბამის წესებს. გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან პლაგიატის გამოვლენისთვის, თანამშრომელთა და სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების შემოწმების მიზნით „ურკუნდის“ ("Urkund") პლაგიატის აღმოჩენის სისტემაში. უნივერსიტეტმა დაამტკიცა წესი, რომლის თანახმად, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ატარებს სხვადასხვა შეხვედრას და საინფორმაციო კამპანიას პლაგიატის საკითხებზე, პლაგიატის პრევენციის, შემთხვევების გამოვლენის, იდენტიფიცირებისა და შესაბამისად რეაგირების მიზნით. ამის გარდა, ფაკულტეტის დეკანები ასევე მონაწილეობენ საინფორმაციო კამპანიებში, სხვადასხვა გზით. იურიდიულ სამსახურთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და ბიბლიოთეკართან ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ უნივერსიტეტში არ ყოფილა არანაირი პლაგიატის შემთხვევა.

უნივერსიტეტის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა უნდა დაიცვან შინაგანაწესი და ეთიკის ნორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დაეკისრებათ დისციპლინური სახდელი შესაბამისი კომისიის მიერ, წერილობითი ფორმით. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. რექტორს აქვს უფლებამოსილება შექმნას ეთიკის კომისია, რომელიც განიხილავს შემთხვევას და მიიღებს გადაწყვეტილებას ეთიკის კოდექსით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

დებულების მე-6 მუხლის (უნივერსიტეტის მართვის პრინციპი) თანახმად, აკადემიური თავისუფლება არის ერთ-ერთი უმაღლესი ღირებულება, რომელსაც უნივერსიტეტი იზიარებს, პატივს სცემს და ხელს უწყობს თავის სტრატეგიულ გეგმასა და სამართლებრივ დოკუმენტებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები სილაბუსში, მოახდინოს პროგრამის ცვლილებების ინიცირება, განაახლოს ლიტერატურა სასწავლო კურსებში, შეცვალოს ლექციების ჩატარების მეთოდები და ა.შ. აკადემიურ საზოგადოებასთან ჩატარებული ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ პერსონალი აცნობიერებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს და მათთვის არანაირი შეზღუდვა არ არსებობს აკადემიური თავისუფლების ღირებულებების პრაქტიკაში განხორციელებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის წინააღმდეგ სასამართლო პროცესები არ მიმდინარეობს სტუდენტებისა და პერსონალის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, და არც, ზოგადად, დაინტერესებულ მხარეებთან მიმართებაში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ეთიკის კოდექსი;
  - შინაგანაწესი;
  - პლაგიატის აღმოჩენისა და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-საქვესპროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნების აღწერას და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

- უსდ-საქვეს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

#### სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერის თემი: მიზნების აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება რეგულარულად ხდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში მოქმედების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებული და ხორციელდება დაწესებულების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“, „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“, „საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის მარეგულირებელი წესი“, „პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურის გამოვლენისა და აპრეცენციის მექანიზმი“, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის საგანმანათლებლო პროგრამებისადმი ინსტრუქციის რეგულაცია“, „სადოქტორო პროგრამებისადმი ინსტრუქციის რეგულაცია“, „სოციალურად დაუცველის ტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმი“, „სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის აღწერა და მსაჯულებლობის აღწერა, სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი ორგანოებთან/დასახული ორგანოებთან და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და დამინისტრაციულ/აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან განვითარების პროცესის თანამონაწილეობით ხასიათის და ინსტრუქციის მარეგულირებისა და მართვის ტუდენტების, უნივერსიტეტში გამოკითხვის შედეგების გაანალიზება, დამატებითი მონაცემების შეგროვება და გამოვლენილი პრობლემების ტუდენტებზე დაყრდნობით შემუშავებასა და მოქმედებას. მმართველი ორგანოსთვის ყოველწლიურად ანგარიშის წარდგენის გზით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადეკვატურ კომუნიკაციას ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების შედეგების და ამის შესახებ უნივერსიტეტის ახალი წესების და დაგარე შეფასებას პროგრამის გასაუმჯობესებლად (როგორცაა, აკრედიტაციის ჩართულნი არიან სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი ორგანოებიც, მაგალითად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ავიატორების საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება რეგულარულად ხდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის მიერ. პროგრამები ექვემდებარება შიდა და გარე შეფასებას. პროგრამების შემუშავება/შეცვლა ხდება უნივერსიტეტის პერსონალთან შეხვედრების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას გაითვალისწინეს საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხელშეკრულებები ითვალისწინებს სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტი დასაჯავს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტები.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ანალიზებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს და გამოკითხვებზე. გამოკითხვები ტარდება ელექტრონულად და კონფიდენციალურია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტარდება ფაკულტეტის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. აკადემიური მიღწევების შედეგების გაანალიზების უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სპეციალური შაბლონი/ფორმა. თანამართლებელი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული ყოველ სემესტრში გამოავლენს სტუდენტების ოთხ კატეგორიას: ა) რომელიც საჭიროებს ზედამხედველობას, ბ) სტუდენტი, რომელსაც არ აქვს დამაკმაყოფილებელი შედეგები. უნივერსიტეტი მოსწრებას აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგების ანალიზი ბოლოს ჩატარდა 2021-2021 სასწავლო წლის პირველი კვარტლის 2018 წელს, სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია დამტკიცდა, შემდეგ კი შესწორდა 2020 წლის იანვარ-აპრილის კვლილობების შეტანის დროს, განსაკუთრებულად გაესვა ხაზი პილოტი ინსტრუქტორებისა და საჭირო ხომალდების მონიტორინგის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებისა და გაუქმების პროცედურები: საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს; კონსულტაციას უწევს მათ იმის თაობაზე, თუ რომელი პროგრამა აღიარებს მათ მიერ შეცვლილ/გაუქმებულ უზრუნველყოფს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას საჭიროებისამებრ. თუ უნივერსიტეტი არ აღიარებს სტუდენტებს ეძლევათ უფლება დაასრულონ მიმდინარე აკადემიური წელი/სემესტრი. ამ პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამაზე დაგროვილი კრედიტების აღიარებას.

დაწესებულებამ ჩაატარა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი. შრომის ბაზრის კვლევის შედეგად ასევე ჩატარდა შრომის ბაზრის ანალიზი, რათა დადგენილიყო პროგრამის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნების მოვალეობების შესრულებისას, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარისა და ეფექტური კომუნიკაციების დაწესებულება პერიოდულად მიმართავს კურსდამთავრებულთა კვლევას მათი კარიერის შესახებ და აგროვებს ინფორმაციას შესახებ. უნივერსიტეტს მუდმივი კომუნიკაცია აქვს კურსდამთავრებულთა და დასაქმებისა და კარიერული განვითარების წლის დეკემბერში, პანდემიის მიუხედავად.

უნივერსიტეტმა 2019-2020 სასწავლო წელს ჩაატარა კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა. ბიზნეს ადმინისტრატორთა გამოკითხვით 76.7%-მა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს კურსდამთავრებულთა ჩართულობას და სტაჟირების, კარიერულ განვითარებაზე მეტი კონსულტაციების შესახებ და მეტი თანამშრომლობა უცხოურ ავია კომპანიებთან უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებელი (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში) კვალიფიკაციის შესაბამისად კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი განსხვავდება პროგრამის მახასიათებლები (სადოქტორო პროგრამა „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“, საბაკალავრო პროგრამა “საფრენო

საკუთარი კვალიფიკაციით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	რეალური სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის თარიღი
ფაკულტეტის სახელწოდება: საფრენოსნო მომზადების	55%	60%	2027
ფაკულტეტის სახელწოდება: ინჟინერია	73%	80%	2027
ფაკულტეტის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება	52%	60%	2027

ზემოთხსენებულ მონაცემებსა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩართულობის მოცულობა, რათა მოიცვას მათი საჭიროებები საგანმანათლებლო პროგრამებში, განსაკუთრებით იმ საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებშიც უნდა აღინიშნოს, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ანალიზმა აჩვენა, რომ საჭიროა ახალი დამსაქმების პრაქტიკოსი ლექტორების რაოდენობის გაზრდა. 2020 წელს აკრედიტებული ყველა პროგრამა შესწორდა, რათა გამკლავდეს

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების რეგულაცია;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საგამოცდო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- „საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის მარეგულირებელი წესი“;
- „პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურები“;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მექანიზმი;
- „სადოქტორო პროგრამისა და ნაშრომების კომისიის წესდებები“;
- სტუდენტთა კონტინენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“;
- მხარდაჭერის მექანიზმები სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის;
- აკადემიური კალენდარი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- სამინისტროს თანხმობა ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელებაზე;

- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების შედეგები;
- ბოინგის კვლევის შედეგები;
- დამსაქმებლებთან შეხვედრა უნივერსიტეტში;
- დამსაქმებლებთან, სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელ ორგანოებთან/დარგის პეციალისტებთან/ადმინისტრაციულ/აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- რჩევა იქნება, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა მუდმივად გაზარდოს პროგრამის შეფასებაში კურსდამსაქმებლის შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ.

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის და
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭ

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულებას აქვს 15 საგანმანათლებლო პროგრამა: 10 საბაკალავრო პროგრამა, 4 სამაგისტრო პროგრამა და 1 სადოქტორო პროგრამა. სამი ინგლისურენოვანი პროგრამა მუშაობს ავტორიზაციის რეჟიმში. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები ნაწილობრივ იმავე პერსონალის მიერ ისწავლება, რომლებიც ქართულენოვან პროგრამებზე ასწავლიან, ხოლო პერსონალი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისი დამსაქმებლები და საერთაშორისო პარტნიორები, დარგის სპეციალისტები და სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელ მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტებიდან და ორგანიზაციებიდან.

პროგრამების შინაარსი იცავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი დაწესებულ მოთხოვნებს, შესაბამისი საფეხურის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამებს თან ახლავს რუკა, რომელიც შედეგებს შორის. პროგრამების სწავლის შედეგები ასევე შემუშავებულია ევროპული (EASA) და საერთაშორისო (ICAO) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის ოფიცრებთან გასაუბრებისას, მათ და რეგულირდება საერთაშორისო დონეზე. ამგვარად, უნივერსიტეტი შეიმუშავებს სასწავლო კურსებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს დააკმაყოფილოს დარგში არსებული საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების მინიმუმი. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტების გათვალისწინებაზე.

საფრენოსნო და ინჟინერიის ფაკულტეტების პროგრამებისთვის, უნივერსიტეტმა მოიპოვა შესაბამისი ინგლისურენოვანი შედეგების და კომპეტენციების შესაფასებლად. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, საბაკალავრო ხარისხის ფლობის საფუძველზე, ავიაციის სააგენტოში და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, შესაძლებელია ამ სერტიფიკატის საერთაშორისო ავტორიზაციის ექსპერტებმა გამოავლინეს, რომ ერთი საბაკალავრო პროგრამა „საფრენი აპარატების დაპროექტება და მონტაჟი“ იმ დროს მოქმედებდა. პროგრამის აკრედიტაციის ვადა ჯერ არ ამოწურულა, თუმცა სასურველია აღნიშნული პროგრამის „სასწავლო პროცესის რეგულაციების“ მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამები იცავს კრედიტების ტრანსფერის და

არის 240 კრედიტი (ECTS), სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი (ECTS), სადოქტორო პროგრამაზე სასწავლო პროგრამები სტუდენტებს აძლევენ შესაძლებლობას, აირჩიონ არჩევითი კომპონენტები. უნივერსიტეტის პროგრამის მეთოდებს, თანმიმდევრულობას, წინაპირობებს და სამუშაო დატვირთვას, რაც თავის მხრივ საშუალო აკადემიური კურსს მინიჭებული აქვს კრედიტების რაოდენობა, საგნის სპეციფიკის, სირთულის, შესასწავლი მასალის, სასწავლო ლიტერატურის ყველა პროგრამა ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომელშიც მითითებულია,

პროგრამის აღწერაში სასწავლო წლის/სასწავლო კვირების რაოდენობის ხანგრძლივობა კვლავ 40 კვირაა მითითებული. ექსპლუატაცია (პილოტი)“ და ა.შ). ექსპერტთა რჩევაა ყველა პროგრამის აღწერაში განაახლოთ ინფორმაცია სასწავლო წლის/სასწავლო კვირების რაოდენობის შესახებ. სასურველია, პროგრამების კატალოგი განაახლდეს მუდმივად.

სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფლობის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მათი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროცესებში. ავიაციის სექტორის მახასიათებლების, სპეციალური საჭიროებების, სოციალურად დაუცველების, რომლებიც იყენებენ შიდა და გარე მობილობას, მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში და საქართველოში ჩამოსული უცხოელ სტუდენტებს ასევე აქვს დაფინანსების მექანიზმი და წახალისების მეთოდები სოციალურად დაუცველი ჯგუფის წევრებისთვის. ითვალისწინებს თანადაფინანსებას სახელმწიფო გრანტით ჩარიცხული სტუდენტებისთვის, სტაპენდიებს პარტნიორებისგან და სხვა მეთოდებს სტუდენტების მიერ პირადად შეტანილი განცხადებების საფუძველზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამების აღწერილობები და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- „საგამოცდო პროცესების მარეგულირებელი წესი“;
- „საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის მარეგულირებელი წესი“;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების შედეგები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მექანიზმი;
- „სადოქტორო პროგრამისა და ნაშრომების კომისიის წესდებები“;
- „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“;
- მხარდაჭერის მექანიზმები სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის;
- დამსაქმებლებთან, სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელ ორგანოებთან/დარგის სპეციალისტებთან ადმინისტრაციულ/აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- ექსპერტთა რჩევაა, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა განაახლოს პროგრამების კატალოგი და პროგრამების აღწერა მარეგულირებელი წესის შესაბამისად.
- ექსპერტთა რჩევაა, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა შეასწოროს საბაკალავრო პროგრამა „საფრთხილი საავიაციო უნივერსიტეტის პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2016 წელს და მისი აკრედიტაციის ვადა ჯერ არ ამოწურულა.“

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.3 სწავლის შედეგების შეფასება**

- უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამოხატულად, ისინი არის მიღწევადი, გაზომვადი და





#### 4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

<b>4.1. პერსონალის მართვა</b>
<ul style="list-style-type: none"><li>○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.</li><li>○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.</li></ul>

#### სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა შეიმუშავა პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც რექტორმა 2020 წლის მარტში დაამტკიცა. ეს 30 გვერდიანი, ყოვლისმომცველი დოკუმენტია, რომელიც ითვალისწინებს ჩამოთვლილ ასპექტებს: პერსონალის მართვის ზოგად წესებსა და კლასიფიკაციას; საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო ცენტრის მასწავლებლების არჩევისა და დაქირავების პროცედურებს; კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების მექანიზმებს; პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომებსა და სტრატეგიებს; სამუშაო გარემოსა და შიდა კომუნიკაციაში ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის პროცედურას; სამუშაოს ანაზღაურებისა და წახალისების პრინციპებს, სამუშაო დატვირთვასა და მისი შესრულების შეფასებას, პერსონალის საქმიანობის შესრულების შეფასების შედეგების მართვას; საგანმანათლებლო და სამეცნიერო საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართვის პრინციპებს და სხვა.

პერსონალის არჩევა და დასაქმება ასევე რეგულირდება „აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დაქირავების წესის“ მიხედვით, რომელიც დამტკიცდა რექტორის მიერ 2019 წლის იანვარში. პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები - 145 გვერდიანი ყოვლისმომცველი დოკუმენტი - დამტკიცდა 2021 წლის თებერვალში რექტორის მიერ და შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

აკადემიური პერსონალის აფილირების პრინციპები და პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის აფილირების წესში, რომელიც რექტორმა 2017 წლის სექტემბერში დაამტკიცა. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულია ინფორმაცია, სხვადასხვა ტიპის თანამშრომლების სტატისტიკური მონაცემების, ასევე პერსონალთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულებისა და თანაფარდობების შესახებ.

აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის რეზიუმეების, დიპლომებისა და სხვა სერტიფიკატების ანალიზმა დაადასტურა, რომ მათი კვალიფიკაციები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2019-2020 სასწავლო წლის პერსონალის საქმიანობის შესრულების შეფასებისა და კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა გასაუმჯობესებელი მხარეები და დაწესებულებამ დაგეგმა სხვადასხვა ღონისძიებები, გამოყო სპეციალური თანხები გამოწვევების დასაძლევად და ეს ასახა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. მაგალითად, დაიგეგმა ჩამოთვლილი აქტივობები: პერსონალის პროფესიული განვითარების, მათ შორის კვლევითი უნარების განვითარების ღონისძიებები, აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევის ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო ჟურნალებში

კვლევითი პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა, კვლევითი პროექტების ჩატარება და მათი ხარისხის გაუმჯობესება და სხვა.

აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ დაწესებულებაში ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვის დამტკიცებული პოლიტიკა. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის შესახებ ინფორმაციას აკადემიური პერსონალი იგებს უნივერსიტეტის ვებგვერდიდან, სპეციალური ვებსაიტიდან jobs.ge და ა.შ. აკადემიურ თანამდებობებზე აპლიკანტების არჩევა ხდება სწავლებასა და კვლევაში მათი გამოცდილების გათვალისწინებით. ახალი პერსონალის გაცნობა სამუშაო გარემოსთან ხდება კოლეგებთან პირადი გაცნობისა და გაცნობითი ელექტრონული წერილების გზით, მათთვის შინაგანაწესისა და სახელმძღვანელოების გაზიარებით, კორპორატიული ელექტრონული ფოსტის შექმნით და ა.შ. უნივერსიტეტი პერსონალს აძლევს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს საჭიროებების შეფასების შემდეგ (მაგალითად, ICT კურსები, საავიაციო ინგლისური, აკადემიური წერა, ელექტრონული კვლევითი მონაცემთა ბაზების მოხამრება, საავიაციო უსაფრთხოება და სხვა უკვე შესთვავხეს პერსონალს).

პერსონალთან გასაუბრებამ გამოავლინა, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების გამოცდილების მქონე აკადემიურმა პერსონალმა უკეთ იცოდა ადამიანური რესურსების მართვის სხვადასხვა ასპექტების შესახებ (მაგ; სამუშაო დატვირთვისა და აფილირების პრინციპებზე, სხვა ამოცანებსა და პასუხისმგებლობებზე). შესაბამისად, გირჩევთ, გაზარდოთ აკადემიური პერსონალის ცნობიერება ინსტიტუციურ პოლიტიკასა და შიდა რეგულაციებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აფილირების წესი;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დასაქმების წესი;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზი (2019-2020);
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა გაზარდოს თავისი აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობა ინსტიტუციური პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული შინაგანაწესის შესახებ.

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა**

- უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულებაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა რეგულირდება საქართველოს

საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური სამუშაო დატვირთვის წესით, რომელიც რექტორმა 2019 წლის ივლისში დაამტკიცა და რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის სხვა უსდ-ებში პერსონალის სამუშაო დატვირთვაზე თვალყურის დევნებას და მხედველობაში იღებს შემდგომ ასპექტებს: სამუშაო დატვირთვის სქემა მოიცავს შემდგომ საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა საქმიანობებს: ლექციებს, პრაქტიკულ და ლაბორატორიული მუშაობას, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს, საკურსო ნაშრომს, სილაბუსის შექმნას, საავტორო სახელმძღვანელოს გამოცემას და/ან თარგმნას, რიდერების ან/და მეთოდოლოგიური გზამკვლევის მომზადებას; სტაჟირების ორგანიზებას, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობას, საკვალიფიკაციო ნაშრომების განხილვას, სხვადასხვა კომისიების წევრობას, საგრანტო განაცხადების მომზადებასა და ჩაბარებას, ფაკულტეტის საბჭოს დახმარებას, მონოგრაფიების, კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნებას, კვლევითი ნაშრომის რედაქტირებას, კვლევით კონფერენციაზე პრეზენტაციის ჩატარებას და ა.შ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა ყოველ სემესტრში ახლდება და ფასდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის სამსახურებს აწვდის ინფორმაციას.

ზემოთ აღწერილი სამუშაო დატვირთვის სქემა პერსონალისგან მოითხოვს ნაშრომების გამოცემასა და კონფერენციებში მონაწილეობას, თუმცა ამ აქტივობების ტიპებს არ განასხვავებს. მაგალითად, ეროვნულ და მაღალი რანგის რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალებში ნაშრომის გამოქვეყნება სხვადასხვა ძალისხმევას და სხვადასხვა დროს მოითხოვს, ასევე გაცილებით მეტი დრო სჭირდება საერთაშორისო ღონისძიებისთვის ნაშრომის მომზადებასა და წარდგენას, ვიდრე ადგილობრივი ღონისძიებისთვის. ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა მოახდინოს კვლევითი ნაშრომებისა და საქმიანობის ტიპების (ეროვნული და საერთაშორისო რეცენზირებული ჟურნალები, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები და ა.შ.) დიფერენცირება და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში მათთვის განსაზღვროს დროის სხვადასხვა მოცულობა. სასარგებლო იქნებოდა აქტივობებში „სხვა“ კატეგორიის დამატება, ანუ ისეთი აქტივობებისთვის რომლებიც მნიშვნელოვანია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და ასევე ინსტიტუციური განვითარებისთვის, მაგრამ არ არის მითითებული სამუშაო დატვირთვის სქემაში (მაგალითად, ერთობლივი სასწავლო პროგრამის მომზადება, ერთობლივი საერთაშორისო პროექტის მომზადება, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, ეროვნული და/ან სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება და სხვა).

უნივერსიტეტის აკადემიური სამუშაო დატვირთვის წესი ითვალისწინებს, აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და მხედველობაში იღებს სტუდენტთა რაოდენობას თითოეულ სასწავლო პროგრამაზე, ასევე ამ პროგრამების სპეციფიურობას. ამ დოკუმენტის მიხედვით, თითოეული სასწავლო პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს სულ მცირე ერთი პროფესორისა და ორი ასოცირებული პროფესორის მიერ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი მდგრადობა.

როგორც უკვე აღინიშნა, აკადემიური პერსონალის აფილირების პრინციპები და პროცედურები განისაზღვრა უნივერსიტეტის აფილირების წესში, რომელიც რექტორის მიერ 2017 წლის სექტემბერში დამტკიცდა და ასევე განსაზღვრულია დაწესებულებასა და პერსონალს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, აკადემიური პერსონალის 80% აფილირებულია (45-დან 36). აფილირებულ პერსონალთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ყველა მათგანმა არ იცის იმ კონკრეტული ვალდებულებების შესახებ, რომლებიც აფილირებულმა პროფესორებმა უნდა შეასრულონ. ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა გაზარდოს აფილირებული პერსონალის ინფორმირებულობა აფილირების პირობებსა და ვადებზე, საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში მათი უფრო ეფექტური ჩართვისთვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულია ინფორმაცია, სხვადასხვა ტიპის თანამშრომლების სტატისტიკური მონაცემების, ასევე პერსონალთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულებისა და თანაფარდობების შესახებ. თვითშეფასების ანგარიშმა და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ დაწესებულება

გეგმავს თავის პერსონალთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულების გაუმჯობესებას.
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• აკადემიური სამუშაო დატვირთვის წესი;</li> <li>• საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აფილირების წესი;</li> <li>• აფილირებულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;</li> <li>• თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუები.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა მოახდინოს კვლევითი ნაშრომებისა და საქმიანობის ტიპების (ეროვნული და საერთაშორისო რეცენზირებული ჟურნალები, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები და ა.შ.) დიფერენცირება და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში მათთვის განსაზღვროს დროის სხვადასხვა მოცულობა.</li> <li>• ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა გაზარდოს აფილირებული პერსონალის ინფორმირებულობა აფილირების პირობებსა და ვადებზე, საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში მათი უფრო ეფექტური ჩართვისთვის.</li> </ul>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

## 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

<b>5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.</li> <li>○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.</li> </ul>
<b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b> <p>საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს აქვს ყოვლისმომცველი რეგულაციები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პრგრამებზე სტუდენტთა მიღებისა და ჩარიცხვისთვის. უნივერსიტეტში მოქმედებს კვალიფიკაციის მინიჭებისა და აღიარების მკაფიო და გამჭვირვალე პროცედურები, მათ შორის სტუდენტთა მობილობის შემთხვევებისთვის. ეს რეგულაციები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის დამატებით მოთხოვნებს პრაქტიკული საფრენოსნო სწავლებისთვის. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა შეიძლება მოხდეს აკადემიური, ფინანსური, სამედიცინო და სხვა მიზეზების გამო, როგორც ეს მკაფიოდაა ჩამოთვლილი უნივერსიტეტის რეგულაციებში. ამ პროცედურებზე ინფორმაცია მიეწოდება აპლიკანტებს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით, სადაც ინფორმაცია სასწავლო პროცესის ვადების,</p>

სასწავლო ცხრილების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ცხრილების შესახებ ქვეყნდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

ზემოთხსენებული პროცედურების განხორციელებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი შედეგები. მაგალითად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება შეწყვეტის შესახებ პირველი ბრძანების გაცემიდან 12 თვეში და მას ოფიციალური სახე ეძლევა უნივერსიტეტის რექტორის არგუმენტირებული ბრძანებით, რომელიც რეგისტრირდება შესაბამისი სამართლებრივი პროცესებით.

უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სტუდენტების უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა, თანასწორობის პრინციპის საფუძველზე. სტუდენტის მიღებისას, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ყალიბდება ოფიციალური ურთიერთობა კონტრაქტზე ხელის მოწერით. ეს კონტრაქტი განმარტავს სტუდენტის უფლებებს და წარმოადგენს მათი დაცვის სამართლებრივ გარანტიას. საორიენტაციო შეხვედრაზე, ახალ სტუდენტებს ეძლევათ ინფორმაცია და ინსტრუქცია მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გარდა ამისა, სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტებს უწევს დახმარებას მათი სწავლებისა და უფლებების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან უნივერსიტეტში მოქმედი საჩივრების მექანიზმის შესახებ და აცხადებენ, რომ ეს მექანიზმი სწრაფად მუშაობს.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წვდომას განათლებაზე, მის გამჭვირვალობას, აკადემიური თავისუფლების პირობების შექმნას სწავლა/სწავლებაზე და კვლევაში და ასევე უზრუნველყოფს სტუდენტის არჩევანის გამჭვირვალობას, რაც გათვალისწინებულია ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში. სტუდენტებს შეუძლიათ შექმნან ინდივიდუალური სასწავლო პროფილები, რომლებიც ქმნის სასწავლო გეგმის ადაპტირების შესაძლებლობას ისე, რომ მხარი დაუჭიროს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლიდანაც სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საგნების შეფასების შესახებ.

უნივერსიტეტში დანერგილი წესების მიხედვით, სტუდენტებისთვის აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევა და ინფორმაციის მიწოდება ხდება პროგრამის მენეჯერების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სკოლის ადმინისტრაციის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის და სხვათა მიერ. მისი ფუნქციები მოიცავს სტუდენტების ინფორმირებას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის საჭირო ზომებზე, სტაჟირებების და კვლევითი პროექტების სათანადო შერჩევაზე, სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებზე, სტიპენდიებსა და სხვა საკითხებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის ვებსაიტი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- კონტრაქტების ნიმუშები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტებთან და დამხმარე სერვისებთან გამართული შეხვედრების მიმოხილვა.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ში მოქმედებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას მათი სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებსა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე. უნივერსიტეტი ყველა სტუდენტს არეგისტრირებს მის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში, ატარებს ტრენინგ კურსებს, უზრუნველყოფს ელექტრონულ სასწავლო მასალებსა და სილაბუსებს. სტუდენტები ასევე იღებენ კონსულტაციებს, როგორც სილაბუსში მითითებულად.

ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი უწყვეტად უზრუნველყოფს სტუდენტებს პირდაპირი ინფორმაციით აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ, ასევე სასწავლო პროცესისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. თითოეული ფაკულტეტი ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების დანერგვას, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და მონიტორინგს, სასწავლო ცხრილების აგებას და კომუნიკაციას სტუდენტებთან სასწავლო პროცესის მართვის სისტემის, ელექტრონული საფოსტო შეტყობინებების, სოციალური ქსელების მეშვეობით, ასევე სტენდებზე და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციებით.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ყურადღებით ითვალისწინებს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოს მათი შეუფერხებელი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესებში. უნივერსიტეტი ქმნის სასწავლო გეგმას, რომელიც მორგებულია ნებისმიერ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაზე, ქმნის სათანადო ფორმებსა და პირობებს სწავლების, სწავლის, შეფასებისა და სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში ჩატარების შესაძლებლობისთვის და თუ საჭიროა, უზრუნველყოფს სათანადო ადამიანურ რესურსებს. გარდა ამისა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები იქმნება იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი გადაწყვეტს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას ან გაუქმებას.

2018 წელს, დასაქმებისა და კარიერული განვითარების მენეჯერი დასაქმდა უნივერსიტეტში, რათა სტუდენტებს განუვითაროს დასაქმებისთვის საჭირო უნარები. მენეჯერი თანამშრომლობს უნივერსიტეტის პარტნიორ კომპანიებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთგაგების მემორანდუმების ფარგლებში, რაც მოიცავს პრაქტიკული სწავლებისა და სტაჟირების შესაძლებლობებს. პარტნიორი კომპანიები ასევე ჩართული არიან ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში.

დასაქმებისა და კარიერული განვითარების მენეჯერი სტუდენტებს ეხმარება განათლებისა და კარიერის სათანადო მართვაში და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინდივიდუალური კარიერული კონსულტაცია, მათ შორის ინფორმაცია შრომის ბაზრის შესახებ, რეზიუმეებზე და გასაუბრებისთვის მომზადებაზე.

ინფორმაცია ვაკანსიებზე, სტაჟირებებზე, დაგეგმილ ტრენინგებსა და საჯარო ლექციებზე რეგულარულად ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ვრცელდება სხვადასხვა სოციალური ქსელის გვერდებზე და სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

დასაქმებისა და კარიერული განვითარების მენეჯერი რეგულარულად ატარებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს, მათი კარიერული განვითარების შესახებ. შედეგები გამოიყენება ამ სფეროში არსებული პრობლემებისა და საშჭიროებების გამოსავლენად, ხარვეზების გადაჭრის ძირითადი სფეროების დასადგენად, სამომავლო აქტივობების და ღონისძიებების დასაგეგმად სტუდენტებისთვის და თუ საჭიროა უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შესატანად.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს მხარდაჭერა აქვთ კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზით, რომელიც მათ აწვდის ინფორმაციას ხელმისაწვდომ ვაკანსიებსა და კარიერულ წინსვლებზე. წარმატებული კურსდამთავრებულები ხშირად ატარებენ საჯარო ლექციებს, სტუდენტებთან შეხვედრის სახით. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი სტუდენტებს უბიძგებს ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში, უნივერსიტეტმა დაამყარა კავშირები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ევროპაში, რაც მობილობის შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს. მობილობის შესახებ შესაძლებლობები საჯაროდ იდება ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და საინფორმაციო სტენდებზე.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს განათლებაზე, მეცნიერებაზე, სპორტზე, კულტურასა და ტურიზმზე ორიენტირებულ აქტივობებს.

აღნიშნულია, რომ ბევრ სტუდენტს უწევს სწავლების შეჩერება ფინანსური მიზეზების გამო. შესაბამისად, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა დანერგა სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას, მათ შორის კერძო კომპანიებისგან მინიჭებულ სტიპენდიებს, სწავლის საფასურის გადახდის გეგმებს, ასევე სწავლის საფასურისგან ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლებას. დეტალები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, განაცხადების განხილვა ინდივიდუალურ საფუძველზე ხდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები;
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი;
- დამსაქმებელთან თანამშრომლობის მემორანდუმები;
- სასტიპენდიო ხელშეკრულებები;
- გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებლები;
- უნივერსიტეტის ვებსაიტი;
- უნივერსიტეტის ფეისბუქის გვერდი;
- თვითმმართველობის ფეისბუქის გვერდი;
- მხარდაჭერის მექანიზმები სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის;
- სტუდენტთა საინფორმაციო გზამკვლევი;
- სტუდენტური თვითმმართველობის დებულება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტებთან და დამხმარე სერვისებთან გამართული შეხვედრების მიმოხილვა;
- ადგილზე ვიზიტი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**

უსდ, თავისი ფორმისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და ამ საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

**6.1 კვლევითი საქმიანობა**

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

რამდენადაც უნივერსიტეტის სპეციალიზაცია არის ავიაცია, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია განათლებასა და პროფესიულ სწავლებაზე, რათა კურსდამთავრებულები სათანადოდ აღჭურვოს ამ ინდუსტრიაში სამომავლო კარიერისთვის. თუმცა უნივერსიტეტის მისიის ნაწილია კვლევისა და აღმოჩენის კულტურის განვითარება და ახალი ცოდნის შექმნა, რათა ავიაციის სფეროში არსებულ ადგილობრივ და გლობალურ გამოწვევებს უპასუხოს. ამ სტანდარტთან შესაბამისობის დონე ახლა იქნება განხილული.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის კოორდინირება ხდება სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ. სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად ხორციელდება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კვლევითი კომპონენტების მიერ, რაც მოიცავს სტუდენტების შედარებით მცირე რაოდენობას, მათ აკადემიურ ხელმძღვანელებს და ხშირად, პარტნიორებს ინდუსტრიიდან. მართალია სტუდენტებს ღირებულ ინფორმაციას აწვდიან, თუმცა პროექტები ძირითადად მოკლე ხანგრძლივობისაა და უფრო მეტად სასწავლო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე კვლევით დარგში თანამედროვე წინსვლად. რამდენიმე სტუდენტმა მოიპოვა მცირე გრანტი კვლევის ჩასატარებლად და საერთაშორისო კონფერენციებზე, ვორქშოპებსა და პარტნიორ დაწესებულებებში გასამგზავრებლად. უნივერსიტეტი თავის ყოველწლიურ სამეცნიერო ყურნალს „საჰაერო ტრანსპორტს“ აქვეყნებს და მასპინძლობს ყოველწლიურ საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო ტექნიკურ კონფერენციას.

ზოგიერთი ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობა ასევე ხორციელდება აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ. კვლევა მიიჩნევა მათი სამუშაო დატვირთვის არსებით ნაწილად და განიხილება მათი რეგულარული საქმიანობის შესრულების შეფასების ნაწილად. უნივერსიტეტი ეხმარება აკადემიურ პერსონალს საზღვარგარეთ სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაში და გამოცემების დაფინანსებაში. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ახდენს ახალი პროექტების სტიმულირებას ყოველწლიური კონკურსის გამოცხადებით შიდა კვლევითი დაფინანსების მოსაპოვებლად და გარე დაფინანსებისთვის განაცხადების შეტანის მხარდაჭერით. პერსონალი ცდილობს კვლევის შედეგების ინტეგრირება მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამების ინდივიდუალურ კომპონენტებში.

მჭიდრო თანამშრომლობა ავიაციის სფეროში მოღვაწე მეცნიერებთან, კერძოდ სს თბილავიამშენისა და „დელტასთან“, ასევე რაფაელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მეცნიერებთან.



შეზღუდული თანამშრომლობა საერთაშორისო დაწესებულებებთან, თუმცა უნივერსიტეტის კვლევის შედეგების ძალიან ცოტა ნაწილი ქვეყნდება საერთაშორისო ჟურნალებში. შედეგად, შეზღუდულია კვლევის აღიარება მისი მონაწილეებისა და უშუალო კოლაბორაციონისტების მიღმა.

უნივერსიტეტში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ყურადღებას ამახვილებს მომავალი თაობისთვის სიღრმისეული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამეცნიერო კვლევითი გამოცდილების მიცემაზე. დისერტაციების შეფასება ხდება სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს ფარული კენჭისყრით, რაც მოიცავს გარე რეცენზენტებს. პლაგიატის ნებისმიერი შემთხვევის გამოვლენა ხდება კომპიუტერული პროგრამით და ისჯება უაყოფიით შეფასებით. თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მეთოდები აღწერილია სადოქტორო პროგრამების სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. სტუდენტებს აქვთ უფლება მიიღონ ახსნა განმარტებები და გაასაჩივრონ შეფასება უარყოფითი შეფასების შემთხვევაში. სამეცნიერო კვლევით ცენტრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უსდ-ის მისია;
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები;
- სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- პლაგიატის აღმოჩენისა და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმები;
- აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი;
- აფილირების წესები;
- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება;
- კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურები;
- პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები;
- პერსონალის მიერ გამოგონებებზე მოპოვებული პატენტები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დოქტორანტთა გამოკითხვების შედეგები;
- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კვლევაზე შემაჯამებელი ანგარიშები;
- ყოველწლიური საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო ტექნიკური კონფერენციის აბსტრაქტები;
- სამეცნიერო ჟურნალი „საპაერო ტრანსპორტის“ გამოცემები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებთან.

**რეკომენდაციები:**

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა უნდა გამოაქვეყნოს სტატიები მოწინავე საერთაშორისო ჟურნალებში.

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია**

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით და სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში.
- დაწესებულება მუშაობს კვლევითი, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობების

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევით საქმიანობას სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეშვეობით, მიზნობრივი დაფინანსების, სამეცნიერო კვლევითი ვიზიტებისთვის ბიუჯეტის გამოყოფით, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიებისა და ნაშრომების გამოქვეყნების გზით. ცენტრი ეხმარება პერსონალს მოიპოვოს ინფორმაცია, გადათარგმნოს, გაავრცელოს, მოამზადოს საგრანტო განაცხადები და დაგეგმოს ღონისძიებები, ასევე მონაწილეობას იღებს კვლევითი პროექტების დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. ცენტრის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის მმართველ ორგანოს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა კვლევით პროექტებზე.

უნივერსიტეტი მუმიდვად აახლებს კვლევით ლაბორატორიებს და აწყობს ტრენინგებს სპეციალიზებული აღჭურვილობის მოხმარებაზე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მოიპოვა წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც უფასოდ და დისტანციურადაა ხელმისაწვდომი პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტი იზიდავს ახალ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ღია კონკურის წესით. ვაკანსიები ცხადდება უნივერსიტეტისა და სხვა ვებგვერდების გამოყენებით, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კომპანიებთან კონტაქტებით, ასევე პირადი რეკომენდაციებით. პერსონალის კვალიფიკაციის დონის ასამაღლებლად, ყურადღება გამახვილებულია ახალგაზრდა მკვლევარებისა და ინსტრუქტორების დასაქმებაზე, რომლებიც კვლევაში თავდაპირველად ჩართული არიან პროფესორების ხელმძღვანელობის ქვეშ. 2 წელიწადში ერთხელ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს პერსონალის კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგებიც გამოიყენება უნივერსიტეტის საქმიანობებისა და გარემოს გასაუმჯობესებლად. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ გამოკითხვის შედეგად განხორციელებულ ცვლილებებს აქვთ დადებითი გავლენა პერსონალის კმაყოფილებაზე და პროდუქტიულობაზე და გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მთავარი კვლევითი პერსონალის შენარჩუნებაში.

კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას მხარდაჭერა აქვს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით. 2019 წელს უნივერსიტეტი შეუერთდა ევროკომისიის ერასმუს+ კვლევით პროექტს პარტნიორ თურქეთთან და პოლონეთთან ერთად და დამატებითი სწავლებასთან დაკავშირებული ვიზიტები განხორციელდა ესპანეთში, ლიეტუვაში, გერმანიასა და ბელგიაში. დოქტორანტებს უზიარებენ აირჩიონ უცხოელი თანა-ხელმძღვანელი და ჩაატარონ კვლევა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, თუმცა ამის მაჩვენებელი ამ დრომდე დაბალია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტი დაფინანსების წესი და პროცედურები;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შიდა გრანტით დაფინანსებული პროექტის კონტრაქტი;
- სტუდენტთა გამოკითხვა კვლევაზე;
- უცხოურ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები;
- საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობა;
- შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან შეთანხმება სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან წვდომაზე;
- დოქტორანტის საერთაშორისო ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- შემენილი სამეცნიერო ლაბორატორიების აღწერილობები;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2026;
- 2021-2023 საქმომედო გეგმა;
- უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია 2021-24 წწ;

<ul style="list-style-type: none"> <li>• უნივერსიტეტის ვებსაიტი;</li> <li>• თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებთან.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა აკადემიურ პერსონალს ხელი უნდა შეუწყოს წამყვანი საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტების ექსპერტებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის დამყარებაში.</li> </ul>
<b>რჩევები:</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>
<b>6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.</li> </ul>
<b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b> <p>საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის ხარისხს აფასებს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტრუქტურული გამოკითხვებისა და პერსონალის შეფასების გამოყენებით. კვლევებში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა ფასდება კვლევის ხელმძღვანელობაში მათი ჩართულობით, კვლევით საგრანტო პროექტებში მონაწილეობით, პუბლიკაციებით, კონფერენციებსა და სხვა კვლევით შეხვედრებში მონაწილეობით, კონსულტაციებით, რევენჯირებითა და სხვა საქმიანობით. 5 წლიანი საატესტაციო პროცესის ფარგლებში კონფიდენციალური შეფასების ანგარიში მზადდება ინდივიდუალურად.</p> <p>შიდა დაფინანსებით განხორციელებული კვლევითი პროექტები ფასდება ხარისხისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის მიხედვით, გამოიყენება კრიტერიუმები, რომლებიც მოიცავს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობას, ახალგაზრდა მკვლევარების ჩართულობას და ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხს.</p> <p>აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგინოს წლიური ანგარიში შესრულებულ კვლევით საქმიანობაზე. ამ ანგარიშში არსებული ინფორმაცია აისახება უნივერსიტეტის წლიურ ანგარიშში და გამოიყენება სწავლებისა და პროფესიული განვითარების კუთხით ინდივიდუალური მოთხოვნების დასადგენად.</p>
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება;</li> <li>• პერსონალის მართვის პოლიტიკა;</li> <li>• წლიური ანგარიში განხორციელებული კვლევების შესახებ;</li> <li>• ატესტაციის ჩატარების წესი;</li> <li>• უნივერსიტეტის ვებსაიტი;</li> <li>• თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის და ადამიანური რესურსების მართვის წარმომადგენლებთან.</li> </ul>

<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები:</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა შეადაროს თავისი კვლევის შედეგები სხვა ეროვნულ და საერთაშორისო დაწესებულებებთან.</li> </ul>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):</b>
<b>შეფასება</b>
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან დაეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

#### 7.1. მატერიალური რესურსები

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება სტუდენტთა არსებულ და/ან დაგეგმილ რაოდენობას.
- უსდ-ში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის შესაფერისი გარემო: სანიტარული ობიექტები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობები და ცენტრალური გათბობის სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- უსდ-ს გარემო ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

#### სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ფლობს 2 სასწავლო შენობას, რომლებიც განთავსებულია ქეთევან დედოფლის გამზირზე N16-ში და მოიცავს 6205.56 კვადრატულ მეტრს, მათგან 2828.6 კვ/მ არის სასწავლო სივრცე, ხოლო 3376.96 კვ/მ - დამხმარე სივრცე. უნივერსიტეტი ასევე ფლობს 565,700 კვ/მ-ის არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთს თელავში, სადაც განლაგებულია სტუდენტთა თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი შენობები, საერთო საცხოვრებელი და თვითმფრინავების ანგარი.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები, სადაც დამონტაჟებულია პროექტორები. დაწესებულებას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა, დამონტაჟებულია ლიფტი, არის სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისთვის. სანიტარული და ჰიგიენური ნორმები დაცულია. დაწესებულებას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, რომელიც შემოწმებულია. შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული საევაკუაციო გეგმა. დაწესებულებას ეზოში აქვს სპორტული მოედანი.

დაწესებულებას აქვს საჭირო ლაბორატორიები პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად. ამ ლაბორატორიებში ძირითადი მატერიალური და ტექნიკური ბაზა მოძველებულია, თუმცა ელექტრულ და ნავიგაციის ლაბორატორიებში თანამედროვე სასწავლო სტენდებია შემენილი ევროპული კომპანიებისგან. ყველა ლაბორატორიას აქვს უსაფრთხოების ინსტრუქცია, რომელიც ამობეჭდილია A4 ფორმატის ფურცელზე, ქართულ ენაზე. რამდენადაც უნივერსიტეტს აქვს ინგლისურენოვანი პროგრამები და ჰყავს უცხოელი სტუდენტები, რჩევა იქნება, რომ ინსტრუქციები განთავსდეს ინგლისურ ენაზეც. ასევე, იქ სადაც ელექტრო ხელსაწყოები და აღჭურვილობებია განთავსებული, არ არის გამაფრთხილებელი ნიშნები ელექტრო ძაბვაზე.

უნივერსიტეტს ასევე აქვს ანგარი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, სადაც განთავსებულია

ექსპლუატაციიდან გასული ბოინგი 737-200 საჰაერო ხომალდი და საჰაერო ხომალდის ძრავები, რაც გამოიყენება ინჟინერიის სტუდენტების პრაქტიკული სწავლებისთვის. ანგარში ასევე ეწყობა სატრენინგო კლასი. გამოყოფილია სივრცე საშხაპეებისთვის, სველი წერტილისა და გამოსაცვლელი ოთახებისთვის, თუმცა ეს სივრცე არ არის აღჭურვილი სათანადო ავეჯით (კარადები, სკამები). გარდა ამისა, არ არის ხელსაწყოები და ინვენტარი, რომელიც საჭიროა ანგარში პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად.

სკოლას აქვს 2 აუდიტორია კომპიუტერებით, არის ინტერნეტ წვდომა, რომელიც უფასოა.

უნივერსიტეტს აქვს ტრენინგების ცენტრი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სპეციალიზირებულ კურსების ჩატარებაზე. ცენტრს აქვს საჰაერო ხომალდისა და ვერტმფრენის საფრენი სიმულატორი. დაწესებულებას ასევე აქვს სახანძრო სიმულატორი. სკოლა ფლობს 5 სასწავლო საჰაერო ხომალდს. სასწავლო თვითმფრინავები ფრენისათვის საექსპლუატაციო მდგომარეობაშია და მათი ტექნიკური მდგომარეობა მოწმდება. ამ საჰაერო ხომალდების უწყვეტი ვარგისიანობა და ფუნქციონირება არის სსიპ სამოქალაქო საავიაციო სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ. უსდ-ს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. დამონტაჟებულია ლიფტი და მოწყობილია სათანადო სანიტარული პუნქტები. დაწესებულებას იცავს უსაფრთხოების სამსახური, რომელიც იცავს პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებას. სამსახურის ხელმძღვანელი ატარებს ხანძარსაწინააღმდეგო სატესტო წრთვებს. შენობისა და მისი პერიმეტრის მონიტორინგი ხდება სათვალთვალო კამერებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობების შიდა აზომვითი ნახაზები;
- საჰაერო ხომალდების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ანგარზე გაფორმებული კონტრაქტი;
- ვერტმფრენის კონტრაქტი;
- სტუდენტთა გამოკითხვები;
- გადახდების ქვითრები;
- გათბობის სისტემის უზრუნველყოფის დოკუმენტი;
- სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სახანძრო უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სახანძრო უსაფრთხოების აღჭურვილობისა და სათვალთვალო კამერების ფლობის დოკუმენტები;
- კონტრაქტები ექიმთან და უსაფრთხოების პერსონალთან;
- კომპიუტერული აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

**რეკომენდაციები:**

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უნდა განათავსოს უსაფრთხოების ყველა ინსტრუქცია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უნდა განათავსოს გამაფრთხილებელი ნიშნები დენის ძაბვის შესახებ სტენდებზე, სადაც ელექტრონული ხელსაწყოები და მოწყობილობებია განთავსებული.
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ანგარის (სადგომის) გასახდელი ოთახის შესაბამისი ავეჯით (კარადებითა და სკამებით) მოწყობა.
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ინსტრუმენტებისა და ინვენტარის მიწოდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ანგარის (სადგომის) პრაქტიკული სამუშაოებისთვის.

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ქებას იმსახურებს თელავის აეროპორტის სასწავლო ობიექტებზე სტუდენტებისათვის პრაქტიკული გამოცდილების უზრუნველყოფისათვის.

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.2. ბიბლიოთეკის რესურსები**

- ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნების თაროებს, სამკითხველო დარბაზს, ბიბლიოთეკოს პერსონალისთვის გამოყოფილ სივრცეს, სივრცეს შეხვედრებისა და ჯგუფური სამუშაოებისთვის. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერთ, პრინტერთ, ასლის გადამღები მანქანით და სკანერთ, ყველაფერი დაკავშირებულია ინტერნეტთან. ასევე შესაძლებელია უსადენო ინტერნეტის გამოყენებაც. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული ლიტერატურის საძიებო სისტემა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მრავალფეროვანია, მუდმივად განახლებადია წიგნების შემენის გზით. ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. წარმოადგენილია ლიტერატურის ელექტრონული ვერსიების სია.

იმისათვის რომ უზრუნველყოს უფასო და დისტანციური წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე, უნივერსიტეტმა გააფრომა ხელშეკრულება სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან. ავიაციის პროფილის ბაზები, ასევე სამეცნიერო პლატფორმები, ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდიდან.

ბიბლიოთეკა ღიაა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00-20:00 საათებში, ხოლო შაბათს 10:00-15:00 საათებში. პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია სტუდენტების დასახმარებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბიბლიოთეკო რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტრონული კატალოგი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული მონაცემთა ბაზის გამოყენების სტატისტიკა;
- ხელშეკრულებები ბაზებსა და პლაგიატზე;
- ბიბლიოთეკარების სერტიფიკატები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.3 საინფორმაციო რესურსები**

- o უსდ-მ შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა არის უზრუნველყოფილი.
- o ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- o უსდ უზრუნველყოფს ბიზნეს პორცესების უწყვეტობას.
- o უსდ-ს აქვს მოქმედი ვებ-გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში შემუშავებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა; დოკუმენტი გვაწვდის ინფორმაციას საინფორმაციო ინფრასტრუქტურასა და უნივერსიტეტში ხელმისაწვდომ სერვისებზე, ასევე მათი განვითარების მექანიზმებზე. ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა ვიზიტის ფარგლებში.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი აღჭურვილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით. აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორებითა და კომპიუტერით (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა), კომპიუტერების 2 ოთახი აღჭურვილია სათანადო მონაცემების მქონე კომპიუტერებით, ყველა კომპიუტერს აქვს წვდომა ინტერნეტზე, უზრუნველყოფილია WIFI. ინტერნეტის კავშირს უზრუნველყოფს კომპანია „სილქნეტი“. კომპიუტერებიც და საფრენი აპარატებიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით. უნივერსიტეტში კომპიუტერის ქსელის შენარჩუნებასა და მონიტორინგზე, ასევე ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვაზე პასუხისმგებელი პირი არის IT მენეჯერი.

ელექტრონული სისტემა სტუდენტებს და აკადემიურ/მოწვეულ/ადმინისტრაციულ პერსონალს აძლევს წვდომას სასწავლო გეგმაზე, სილაბუსებზე ინდივიდუალური საგნებისთვის, საკონტაქტო ინფორმაციაზე, ბიბლიოთეკის ელექტრონულ ფონდზე <http://my.ssu.edu.ge/ka-GE/Books/Index> და სხვა აუცილებელ ინფორმაციაზე სასწავლო პროცესის ეფექტიანი მართვისთვის. თუმცა, სისტემაზე წვდომა ხდება მომხმარებლის სახელითა და პაროლით. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა სტუდენტთა ერთიანი ელექტრონული რეესტრის შექმნის საშუალებას იძლევა, სადაც ხდება სტუდენტების აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია, ფორმების, ნიშნების ფურცელისა და პირადი ბარათების გენერირება სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, იქ შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსების ნახვა, ასევე შეფასებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის. გარდა ამისა, სისტემა მართავს სტუდენტებისა და ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ელექტრონულ ჩანაწერებს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების პოლიტიკაში არის უსაფრთხოების პოლიტიკა, სადაც დეტალურადაა გაწერილი სტუდენტებისა და პერსონალის დაცვა და უსაფრთხოება.

უნივერსიტეტის ვებგვერდია: <http://www.ssu.edu.ge/index.php/ka/ვებგვერდი>. ვებგვერდი ორენოვანია, თუმცა ინგლისურ და ქართულ ენებზე განთავსებული ინფორმაცია არ არის სრულყოფილად იდენტური და პროგრამის კატალოგში არსებული შეუსაბამოები აღინიშნა სტანდარტი 3.2-ის ქვეშ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საინფორმაციო ტექნოლოგიების პოლიტიკა;
- ინტერნეტ კონტრაქტი;
- ხელშეკრულება სასწავლო პროცესის მართვის სისტემაზე;
- შეთანხმებები დომეინსა და ჰოსტინგზე;
- ვებგვერდი [ssu.edu.ge](http://ssu.edu.ge);

- სწავლის პროცესის მართვის სისტემა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- IT მენეჯმენტთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა.

**რეკომენდაციები:**

- რჩევები:**
- ექსპერტთა რჩევაა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისობა თავისი ვებგვერდის ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის.

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

- შეფასება**
- სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.4 ფინანსური რესურსები**

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია.
- უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და შუალედური სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას.
- უსდ-ს ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ შესრულებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირების/განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულების ფინანსების წყარო მხოლოდ მისი საკუთარი შემოსავლებია: ძირითად შემოსავალს წარმოადგენს სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური, შემდეგ კი ტრენინგ ცენტრი. დაწესებულება ასევე ჩართულია საგრანტო პროგრამებში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს ცალკე სტრუქტურული ერთეული ფინანსური საქმიანობის ჩასატარებლად, რომელსაც ხელმძღვანელობს ფინანსური მენეჯერი.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბიუჯეტი იქმნება რექტორის და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, უზრუნველყოფს ფინანსური მართვის პროცესის ეფექტურ განხორციელებას, უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობას და რესურსების პროდუქტიულად გამოყენებას უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მისაღწევად. წარმოდგენილ ბიუჯეტში მოცემული პრიპორიტეტები განსაზღვრულია სწორად და უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული და დაგეგმილი საქმიანობების მხარდაჭერას. ფინანსური მენეჯერი არის დირექტორთა საბჭოს წევრი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური სამსახურის ჩართულობას მიმდინარე ან დაგეგმილ საქმიანობებში და მის მიერ სწორი ინფორმაციის ფლობას. შესაბამისად, როდესაც იგეგმება დამატებითი ბიუჯეტი, იგი ეფექტიანად გამოყოფს ფინანსებს.

სამოქმედო გეგმის თანახმად, უნივერსიტეტის ფინანსები დაგეგმილი და გამოყოფილია ძირითადი საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისთვის, კერძოდ კვლევითი საქმიანობისთვის, ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებისთვის, ინფორმაციული სისტემის განახლებისთვის, ინფრასტრუქტურული განახლებისთვის, ახალი ლიტერატურით ბიბლიოთეკის წლიური განახლებისთვის.

მართვის ანგარიშვალდებულება, ფინანსური მართვა და კონტროლი, ასევე საბუღალტრო პოლიტიკა იმართება უნივერსიტეტის წესდების მიერ, რექტორს აქვს მენეჯერული მმართველობის უფლება შპს-ზე. უნივერსიტეტის მენეჯმენტში პასუხისმგებლობა ისეა გადანაწილებული, რომ ერთი პირი იმავდროულად



პასუხისმგებელი არ არის ავტორიზების, განხორციელებისა და კონტროლის ქმედებებზე. მოქმედებს მტკიცე ხელმოწერის სისტემა და ყველა ტრანზაქცია აღირიცხება და სრულად აისახება ფინანსურ განაცხადებში. ტარდება წლიური აუდიტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიუჯეტი;
- დაგეგმილი ფინანსური სახსრების დინამიკა წლების მიხედვით;
- ფინანსური სამსახურის წესდება და საბუღალტრო პოლიტიკა;
- აუდიტის ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ფინანსურ სამსახურთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან